ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2939262

ნომერი: AR1452927

თარიღი : 01.11.2016

გაცემის თარიღი : 11.11.2016

გაცნობის თარიღი : 11.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უშანგი ჩხეიძის , N 14 / ქალაქი თბილისი , ქუჩა უ.ჩხეიძე , N 16 / ქალაქი თბილისი , უშ. ჩხეიძის ქ. N 12 / ქალაქი თბილისი , ჩხეიძის ქუჩა N12-ის მიმდ. ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ქაჯაია პ/ნ 01006008287
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 19 ბ. 78

ორგანიზაცია:
- შპს "ბელი" კოდი: 405068439

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.07.2016 წ. №2721967 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01/11/2016 წ. AR1452927 განაცხადით მომართა გიორგი ქაჯაიამ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 21.07.2016 წ. №2721967 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 21.07.2016 წ. №2721967 ბრძანებით, ქ. თბილისში, უ. ჩხეიძის ქ. N14/უ. ჩხეიძის ქ. N16/უ. ჩხეიძის ქ. N12/ჩხეიძის ქ. N12–ის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს "ბელი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 22 ივლისიდან 2018 წლის 22 ივლისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, დაშვებულ იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომები, კერძოდ: არასწორად იქნა მითითებული საცხოვრებელი ფართობი, საზაფხულო ფართობი, ავტოსადგომის ფართობი და საერთო ფართობი, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 21.07.2016 წ. №2721967 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3823.3; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:623.4; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:1486.1 და საერთო ფართობი (კვ.მ).:7389.6

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.07.2016 წ. №2721967 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3823.3; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:623.4; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:1486.1 და საერთო ფართობი (კვ.მ).:7389.6;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.07.2016 წ. №2721967 ბრძანებასთან ერთად;
3. სამსახურის 21.07.2016 წ. №2721967 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.